საგადახდო დავალება
Payment Order

1619694022 | GEL | ს.ს. "თიბისი ბანკი"

თარიღი / Date 29/04/2021

გადამხდელი / Sender

შპს 'დონა გრუპ', 206345454

რეფერენსი / Ref. Num.

4854289083

გადამხდელის ანგარიში / Sender's Account GE88TB7343336050100003

თანხა / Amount

15,000.00 GEL

გადამხდელის ბანკი / Sender's Bank

სს თიბისი ბანკი

ბანკის კოდი / Bank Code

TBCBGE22

თანხა სიტყვიერად
Amount in words

თხუთმეტი ათასი ლარი და 00 თეთრი

ინფორმაცია პირზე, რომლის მაგივრადაც სრულდება გადახდა
Information on a person on behalf of whom the payment is made

დასახელება / Name *შპს 'დონა გრუპ', 206345454*

საიდენტიფიკაციო კოდი / Sender's Tax Code 206345454

მიმღები / Receiver

ხაზინის ერთიანი ანგარიში. სხვა შემოსულობები (თვითმმართველი ქალაქი თბილ

მიმღების ანგარიში / სახაზინო კოდი Receiver's Acc./ Treasury Code 300773263

მიმღების ბანკი / ხაზინა Receiver's Bank / Treasury

ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური

ბანკის კოდი / Bank Code

TRESGE22

ბანკში საგადახდო დავალების მიღების/წარდგენის თარიღი
Document submission/receiving date

29/04/2021

გადახდის დანიშნულება / Operation Details

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ - სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო

ხელმოწერა
Signature

დამატებითი ინფორმაცია / Additional Information

დადგენილება N 000671 შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ - სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო

დასტურდება ინტერნეტ ბანკით
თიბისი ბანკი TBC BANK
PRINTED VIA INTERNET BANKING

ხელმოწერები
Signatures

ბ.ა.

ამ დოკუმენტის ხელმოწერით კლიენტი ადასტურებს, რომ: დეტალურად იცნობს სს "თიბისი ბანკის" ფილიალებსა და ინტერნეტ გვერდზე www.tbcbank.ge განთავსებულ საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების პირობებს (ამ ხელშეკრულებაში შეტანილ ყველა ცვლილებასა და დამატებას) და ეთანხმება მათ, რითაც უერთდება ზემოხსენებულ ხელშეკრულებას.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის
მუნიციპალური ინსპექცია

№4-21/ო586-21
"28" 04 2021 წ.

დადგენილება №000671
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

28.04.2021წ. ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7

მე, მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილემ მამუკა ჯაყელმა განვიხილე, 2021 წლის 28 აპრილის №000671 შემოწმების აქტი „სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ" შედგენილი, **შ.პ.ს. „დონა გრუპ"-ის** (ს/ნ №206345454; დირექტორი - შალომ შაი; მის: ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ელიზბარ მინდელის ქ., 12, ბლოკი №4, №1ბ) მიმართ, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 132-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის „ა.დ." ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დარღვევაზე და

გამოვარკვიე:

ქ. თბილისში, ქუჩა ელიზბარ მინდელი, №12-ში, ს/კ №01.14.05.006.054-ზე, შ.პ.ს. „დონა გრუპ"-ის მიერ, განხორციელდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (ბლოკი №1) მშენებლობა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ს.ს.ი.პ. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის №3698232 22.11.2017წ. (№5147801 21.10.2020წ.) ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით, კერძოდ: ფასადებზე შეცვლილია ღიობების ნახატი და ნაწილობრივ გაბარიტი. +9.00 ნიშნულიდან ზემოთ გაზრდილია ღიობების რაოდენობა. შეცვლილია რელიეფის დონე და გათბობა კონდიცირების სისტემების მოწყობა. შეცვლილია კედლების ნაწილის ფორმა და გაბარიტი, აივნებზე ტიხრების და მოაჯირების ფორმა და გაბარიტი. შეცვლილია სავენტილაციო შახტების მოწყობა. ფასადებზე შეცვლილია პარაპეტების (მოაჯირების) ნაწილის ფორმა, გაბარიტი და ფერი. ტერიტორიაზე დამატებულია შლაგბაუმები. **„კ1-ა1" ფასადი:** შენობის წინ დამატებულია კაპიტალური კედელი მოაჯირით. შენობის ძირში გაზრდილია ღიობების რაოდენობა და დამატებულია მილები. „ი1" ღერძთან დამატებულია მცირე ზომის კაპიტალური მიშენება. „გ1-ა1" მონაკვეთში ფილის ძირში შექმნილია სივრცე და ფიქსირდება კოლონები. +76.30 ნიშნულზე მოწყობილია სარეკლამო აბრა. **„11-12ა" ფასადი:** შენობის ძირში „2ა" ღერძთან დამატებულია ღიობი ცხაურით. ±0.00 ნიშნულზე „4-6" მონაკვეთში დამატებულია დაბალი კაპიტალური კედელი და ლითონის კონსტრუქცია. +73.80 ნიშნულზე „4-5" მონაკვეთში დამატებულია ღიობი ცხაურით. **„ა1-კ1" ფასადი:** ±0.00 ნიშნულზე „ა1-კ1" მონაკვეთში მოაჯირის ნაცვლად ღიობი შევსებულია კედლით. „კ1" ღერძთან შეცვლილია მოაჯირის ფორმა. +64.098 ნიშნულზე „გ" ღერძთან გაუქმებულია ღიობი. **„12-11" ფასადი:** შენობის ზირში დამატებულია მილები. +4.50 ნიშნულზე შემცირებულია საზაფხულო ფართის გაბარიტი. შენობაში

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 501, 2 378 396

გადადგილებულია ერთი მალით სეისმური შორი. სამშენებლო სამუშაოების ნაწილი დასასრულებელია. შეცვლილია კოლონების რაოდენობა, ნაწილობრივ გაბარიტი და მდებარეობა. მონოლითური კედლების და რიგელების ნაწილის მოწყობა არ შეესაბამება საპროექტოს. შეცვლილია სადარბაზოების ნაწილის გაბარიტი და გაზრდილია ბინების რაოდენობა. „4-3" და „ბ-ვ" ღერძებში დამატებულია კედლები, რის გამოც შემცირებულია პარკინგისთვის განკუთვნილი ადგილების რაოდენობა. შემცირებული ორი ლიფტის კარის სიგანე. ±0.00 ნიშნულზე შეცვლილია კიბის კონფიგურაცია, ასვლის მიმართულება და მარშებზე საფეხურების რაოდენობა. „8-7" მონაკვეთში გაუქმებულია კიბის უჯრედი, რის გამოც +4.50 ნიშნულზე ფილაში გაუქმებულია ღიობი. +4.50 ნიშნულზე „5" ღერძზე „ვ-ე" მონაკვეთში დამატებულია დაბალი კაპიტალური კედელი. +9.00 ნიშნულზე „5" ღერძზე „დ-ე" მონაკვეთში დამატებულია კედელი. „6" და „დ" ღეძების, ასევე „4" და „ბ" ღერძების კვეთასთან შეცვლილია აივნების გაბარიტი. +60.84 და +73.80 ნიშნულებზე მოწყობილ ლიფტის სამანაქოებში შეცვლილია შახტის დონეები.

2021 წლის 28 აპრილს, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 123-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ" ქვეპუნქტის საფუძველზე, სამსახურის სპეციალისტის მიერ შედგა შემოწმების აქტი №000671 „სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ." საქმეშია, მხარის №10/01210972620-17 07.04.2021წ. განცხადება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან შ.პ.ს. „დონა გრუპ"-ის მიერ, ჩადენილია საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 132-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის „ა.დ." ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ ქ. თბილისში, ქუჩა ელიზბარ მინდელი, №12-ში, ს/კ №01.14.05.006.054-ზე, განხორციელდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (ბლოკი №1) მშენებლობა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ს.ს.ი.პ. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის №3698232 22.11.2017წ. (№5147801 21.10.2020წ.) ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით.

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ", საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 122-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 125-ე მუხლის მე-4 ნაწილით, 127-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 127-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით, 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 128-ე მუხლის მე-3 ნაწილით და 132-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის „ა.დ." ქვეპუნქტით,

დავადგინე:

1. შ.პ.ს. „დონა გრუპ" დაჯარიმდეს 15 000 (თხუთმეტიათასი) ლარით, ქ. თბილისში, ქუჩა ელიზბარ მინდელი, №12-ში, ს/კ №01.14.05.006.054-ზე, არქიტექტურული პროექტის დარღვევით IV კლასის ობიექტის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი (ბლოკი №1)) მშენებლობისათვის.

2. შ.პ.ს. „დონა გრუპ"-ს დაევალოს, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ჯარიმა გადაიხადოს ბიუჯეტის სასარგებლოდ დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში:

საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - **მიმღების დასახელება:** ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, **მიმღების ბანკი:** სახელმწიფო ხაზინა, **ბანკის კოდი: TRESGE22, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773263, გადახდის დანიშნულება:** დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე.

3. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, შ.პ.ს. „დონა გრუპ"-ს დაევალოს, შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა.

4. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 126-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, სამშენებლო სამართალდამრღვევს დაერიცხება საურავი სამშენებლო სამართალდამრღვევის დაჯარიმების შესახებ დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით.

5. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 126-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, მისი დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, სამშენებლო სამართალდამრღვევი ჯარიმდება თავდაპირველად დაკისრებული ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით, რომელიც მას შეიძლება დაეკისროს არაუმეტეს სამჯერ.

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან 15 კალენდარული დღის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7).

მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილე **მამუკა ჯაყელი**

შპს „ექსპერტიზა, მშენებლობა, დიზაინი“
Expertise, Construction, Design LTD
A ტიპის ინსპექტირების ორგანო (ს/კ 205273372)
მისამართი: თბილისი, მოსაშვილის ქ.№ 9; ტელ: 599531919; 599558738;

საქ GAC
GAC-IB-0303
სსტ ისო/იეც 17020:2012/2013

№761

19 07 2021 წ.

ინსპექტირების ანგარიში

10/06-761-21

ქ. თბილისი, მინდელის ქუჩა №12-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის (ბლოკი №1) კონსტრუქციული ელემენტების ტექნიკური მდგომარეობის შესახებ

თბილისი 2021

სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო – აკრედიტაციის ცენტრი“

აკრედიტაციის მოწმობა

EA BLA-ის ხელმოწერი

GAC-IB-0303

ადასტურებს, რომ

შპს “ეე”სპერტიზა, მშენებლობა, დიზაინი“-ს

A-ტიპის ინსპექტირების ორგანო

მდებარე: ქთბილისი, მცხაშვილის ქუჩა N9 ბინა 40;

შეჯასდა და აკმაყოფილებს საქართველოს სტანდარტის

სსტ ისო/იეკ 17020:2012/2013-ის მოთხოვნებს

აკრედიტაციის სფერო მოცემულია აკრედიტაციის მოწმობის დანართში, რომელიც წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს

აკრედიტაციის ცენტრის
გენერალური დირექტორი

რეგისტრაციის თარიღი
14 აპრილი 2021 წ.

ძალაშია
14 აპრილი 2025 წ.

0186 თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №42ა

ინსპექტირების (ექსპერტიზის) ანგარიში №10/06-761-21

ინსპექტირების თარიღი ან პერიოდი: 11.07.21 – 19.07.21წ.

ინსპექტორი გაფრთხილებული და პასუხისმგებელია ინსპექტირების მიუკერძოებლობაზე, კვლევის ჯეროვან ჩატარებასა და ინსპექტირების ჩატარების დროს მიღებული ნებისმიერი სახის ინფორმაციის კონფიდენციალობაზე.

ინსპექტორის ხელმოწერა ----------

აკრედიტაციის სფერო:

სამშენებლო ობიექტის პროექტის ან პროექტის ნაწილის შემქმნელ დოკუმენტებთან შესაბამისო-ბის შეფასება/ინსპექტირება

ინსპექტირების ობიექტი:

ქ. თბილისი, მინდელის ქუჩა №12-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსი (ბლოკი №1);

ინსპექტირების ჩატარების საფუძველი:

განაცხადი ინსპექტირების ჩატარებაზე №10/06-761-21; ხელშეკრულება №761; 11.07.2021წ.

დამკვეთი:

შპს „არქსტუდიო" ს/კ 436031991, დირექტორი ზაზა ნაზღაიძე

ინსპექტირების (ექსპერტიზის) შემსრულებლები:

ინჟ. კონსტრუქტორი შ. მეკოკიშვილი

ინსპექტირების ტექნიკური მენეჯერი: - რ. კერვალიშვილი

ინსპექტირების (ექსპერტიზის) ამოცანა:

ქ. თბილისი, მინდელის ქუჩა №12-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის (ბლოკი №1) კონსტრუქციული ელემენტების ტექნიკური მდგომარეობის შესახებ.

გამოკვლევა/კვლევა

1.1 გამოსაკვლევი ობიექტის მოკლე აღწერა და დამკვეთის მიერ გადმოცემული მასალები

გამოსაკვლევი ნაგებობა განლაგებულია ქ. თბილისში, მინდელის ქუჩა №12-ში მდებარე მიწის ნაკვეთი საკ.კოდი 01.14.05.006.054;
გამოკვლევის ობიექტი წარმოადგენს მრავალფუნქციურ საცხოვრებელ კორპუსს, საერთო ფართობი 21165.0 მ/კვ;
ნაგებობის მზიდი კონსტრუქციები წარმოდგენილია მონოლითური რკინა/ბეტონის კარკასით, შევსება მცირე ზომის ბეტონის ბლოკებით;
დამკვეთთან შეთანხმებით მიმდინარე გამოკვლევის ობიექტად წარმოდგენილია ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობის შეფასება.
დამკვეთის მიერ გადმოცემულია ნაგებობის კონსტრუქციული ნახაზები;

1.2 გამოკვლევის დანიშნულება

1. შენობის კონსტრუქციების ვიზუალური გამოკვლევა ხილული დეფექტების და დაზიანების დაფიქსირებით;
2. ნაგებობის კონსტრუქციული სქემის დადგენა
3. შენობის მზიდუნარიანობის შეფასება და მისი ტექნიკური მდგომარეობის დადგენა;
4. საექსპერტო დასკვნის მომზადება;

1.3 გამოკვლევის მეთოდიკა და თანმიმდევრობა

გამოსაკვლევი შენობა-ნაგებობა წარმოადგენს მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსი №1 ბლოკს. მისი გამოკვლევა შესრულებულია საქართველოში მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების და საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების სრული დაცვით.

ნაგებობის ქვეშ, ფუძე-გრუნტების და საძირკვლების კონსტრუქციების გამოკვლევა ხელშეკრულებისთ გათვალისწინებული არ არის. ჩვენს მიერ ეტაპობრივად განხორციელდა საძირკველზედა მზიდი კონსტრუქციების გამოკვლევა:

1. **საველე სამუშაოები:**

ნაგებობის ვიზუალური დათვალიერება

2. **კამერალური სამუშაოები:**

შენობის მზიდი კონსტრუქციების მდგომარეობის ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნის მომზადება

1.4 გამოყენებული ლიტარატურა

1. სამშენებლო ნორმები და წესები პნ. 01.01-09 "სეისმომედეგი მშენებლობა"

2. ევროპის სტანდარტი §204, ევროკოდი 8. "სეისმომედეგი შენობების დაპროექტება", ნაწ.3 „შენობა ნაგებობათა რეკონსტრუქცია აღდგენა-გამაგრება" ეტაპი 64;

3. სამშენებლო ნორმები და წესები პნ. 02.01-08 „შენობების და ნაგებობების ფუძეები";

4.рекомендасции по оценке состояния и усиления строительных конструкции зданий и сооружений, М. 1989г.;5. рекомендасции по усилению каменных конструкции зданий и сооружений, М. 1949г.

1.5 გამოყენებული აპარატური ჩამონათვალი

1. ლაზერული მანძილმზომი Leika 300 მ დიაპაზონით;
2. ციფრული ფოტოაპარატი;

2. ქ. თბილისში, მიმდელის ქუჩა §12-ში მდებარე მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის (№1 ბლოკის– შენობა-ნაგებობის გამოკვლევა

2.1 ნაგებობის კონსტრუქციული სქემის აღწერა

გამოსაკვლევი ნაგებობა წარმოადგენს მონოლითური რკინა/ბეტონის კარკასს, შევსება მცირე ზომის ბეტონის ბლოკებით, სვეტები 70X70, 60X60, 60X40, 40X40. სვეტებს შორის მინიმალური მანძილი 2.50 მ, მაქსიმალური 6.60 მ, დიაფრაგმები 30სმ, 25სმ, 20სმ. რიგელები 40X60, 40X50, 50X60. კიბეები, პანდუსები, ბაქნები 18სმ. სართულებს შორის მანძილი 3.24 სმ. სართულშუა გადახურვის ფილები 18სმ, შენობის სახურავი ბრტყელია და რამდენიმე დონესგან შედგება. ბეტონის მარკა ბ25

2.2 ნაგებობის საძირკველზედა მზიდი კონსტრუქციების გამოკვლევა

გამოკვლევის პირველ ეტაპზე, უშუალოდ ობიექტზე, საველე პირობებში განხორციელდა ნაგებობის მზიდი კონსტრუქციების ვიზუალური დათვალიერება. ვიზუალური გამოკვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენდა მზიდ კონსტრუქციებში ხილული ცვლილებების გამოვლენა და მათი ფოტოფიქსაცია. შემდგომში, გამოვლენილი ცვლილებების ზეგავლენა ნაგებობის მზიდუნარიანობაზე.

ვიზუალური დათვალიერების პროცესში, ნაგებობის საძირკველზედა მზიდ კედლებში, რაიმე სახის ირიბი მახასიათებლები, ნაგებობაში ჯდენითი პროცესების განვითარების რაიმე სახის ნიშანი არ არსებობს. შეიძლება აღინიშნოს, რომ ნაგებობის მზიდი კედლების, ტექნიკური მდგომარეობა, ამავე დროს მთლიანად ნაგებობაში, როგორც სართულშუა გადახურვების ქვეშა კონსტრუქციები, ასევე სართულშუა გადახურვები, ასევე კიბეების უჯრედების და ლიფტების შახტების მზიდი კონსტრუქციები დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია. შენობის სივრცითი სიხისტე უზრუნველყოფილია კარკასის ელემენტების და სართულშუა გადახურვის მონოლითური ფილების ერთობლივი მუშაობით.

შენობა-ნაგებობის არქიტექტურულ და კონსტრუქციული ნაწილების შედარების შედეგ, შეგვიძლია დავადასტუროთ, რომ შენობის კარკასის გაანგარიშება შესრულდა "lira Sapr 2016"-გამოყენებით. გაანგარიშების შედეგად არქიტექტურულ პროექთან შედარებით, კონსტრუქციული აუცილებლობიდან გამომდინარე, მოხდა გარკვეული ცვლილება:

კერძოდ:

1. სეისმური ნაკერების, რაოდენობის და ადგილმდებარეობის დაზუსტება;
2. კონსტრუქციული აუცილებლობიდან გამომდინარე შენობა დაყოფილია 6 სეისმურ ნაკვეთურად. ამასთან შენობის მაღლივი ნაწილი გაიყო ორ სიმეტრიულ ნაკვეთურად (არქიტექტურულ გეგმარებისგან განსხვავებით). სეისმურ ნაკერებს შორის მანძილი განსაზღვრულია შენობის ჰორიზონტალური გადაადგილების სამშენებლო ნორმების და წესების (პნ 01-01-09) მიხედვით.
3. გაანგარიშების შედეგების მიხედვით, საჭირო გახდა "1" და "10" ღერძებში დამატებითი სიხისტის დიაფრაგმების მოწყობა, რამაც გამოიწვია ფასადის ცვლილება;
4. გაანგარიშების დროს დაზუსტდა პილიონების, სვეტების და რიგელების განივი კვეთის ზომები; კერძოდ:

-3.04-დან 8.92 ნიშნულამდე პილიონების ზომებია 1000X600 მმ, სვეტების 700X700 მმ, რიგელების 600X600 მმ.

8.92-დან 41.32 მ ნიშნულამდე 1000X500 მმ, რიგელები 500X500მმ, სვეტები 600X600 მმ;

41.52 მ-დან პილიონები 1000X400 მმ, ცვეტები 500X500 და 400X400 მმ, რიგელები 400X500 მმ;

დიაფრაგმები სიხისტის ბირთვში სისქე 30 სმ და დანარჩენ ადგილებში 300 მმ და 200 მმ. ნაგებობის კონსტრუქციული სქემა, თავისი გეომეტრიული პარამეტრებით აკმაყოფილებს ნორმატიული დოკუმენტების (1.2.13) მოთხოვნებს რვა ბალიანი სეისმურობის რაიონებისათვის. კერძოდ ნაგებობის სართულების რაოდენობა, სართულების სიმაღლე და მისი შეფარდება კედლის სისქესთან, ღიობების და შუა კედლების სიგანე, მანძილი განივ მზიდ კედლებს შორის, შესაბამისობაშია ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნებთან რვაბალიანი სეისმურობის რაიონებისათვის.

მთლიანობაში ნაგებობის ცალკეულ სათავსოებში და საერთო სარგებლობის ზონები უზრუნველყოფილია სავსებით კომფორტული და უსაფრთხო ექსპლუატაციის პირობები;

3. ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნა

1. შენობა-ნაგების მზიდი კონსტრუქციები შესრულებულია ხიმინჯოვანი საძირკვლებიდან ამოყვანილი მონოლითური რკინა-ბეტონის კარკასული სისტემით. კედლების წყობა შესრულებულია მცირე ზომის ბეტონის ბლოკებით, სართულშუა გადახურვები შესრულებულია მონოლითური რკინა/ბეტონის ფილებით.

2. ნაგებობის კონსტრუქციული სქემა, თავისი გეომეტრიული პარამეტრებით აკმაყოფილებს ნორმატიული დოკუმენტების (1.2.13) მოთხოვნებს რვა ბალიანი სეისმურობის რაიონებისათვის. კერძოდ ნაგებობის სართულების რაოდენობა, სართულების სიმაღლე და მისი შეფარდება კედლის სისქესთან, ღიობების და შუა კედლების სიგანე, მანძილი განივ მზიდ კედლებს შორის, შესაბამისობაშია ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნებთან რვაბალიანი სეისმურობის რაიონებისათვის.

3. ნაგებობის საძირკველზედა მზიდ კედლებში, რაიმე სახის ირიბი მახასიათებლები, ნაგებობაში ჯდენითი პროცესების განვითარების რაიმე სახის ნიშანი არ არსებობს. შეიძლება აღინიშნოს, რომ ნაგებობის მზიდი კედლების, ტექნიკური მდგომარეობა, ამავე დროს მთლიანად ნაგებობაში, როგორც სართულშუა გადახურვების ქვეშა კონსტრუქციები, ასევე სართულშუა გადახურვები, ასევე კიბეების უჯრედების და ლიფტების შახტების მზიდი კონსტრუქციები მდგომარეობაშია. დამაკმაყოფილებელ

4. მთლიანობაში ნაგებობის ცალკეულ სათავსოებში და საერთო სარგებლობის ზონები უზრუნველყოფილია სავსებით კომფორტული და უსაფრთხო ექსპლუატაციის პირობები;

შესაბამისათ დამკვეთის დავალების საფუძველზე წარმოდგენილი მასალების მიხედვით ქალაქ თბილისი, მინდელის ქუჩა №12 (ნაკ.006.054) შპს „ დონა გრუპი"-ის მრვალბინიანი საცხოვრებელი

კომპლექსის კორექტირებული პროექტის ფუძეები საძირკვლების და სხვა ძირითადი კონსტრუქციული ელემენტები აკმაყოფილებენ მდგრადობის სიმტკიცისა და დეფორმაციის შესაბამისი ნორმატიული კანონმდებლობით გათვლისწინებულ მოთხოვნებს. შესრულებული მაღალ კვალიფიციურ დონეზე ქვეყანაში მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების სესაბამისათ, გამომდინარე აქედან პროექტს ეძლევა ცალსახად დადებითი შეფასება და მიგვაჩნია მისაღებად.

ანგარიში მოამზადა:

ექსპერტ/ინსპექტორი (ინჟ. კონსტრ-რი) შ. მეკოშვილი

ტექნიკური წესით გადაამოწმა:

ტექნიკური მენეჯერი რ. კერვალიშვილი

ადმინისტრაციული წესით გააამოწმა

დირექტორი: ო. კერვალიშვილი

აკრედიტაციის მოწმობის № GAC-IB-0303
განკარგულების ნომერი №06/81
თარიღი:14.04.2021

„ვამტკიცებ“
აკრედიტაციის ცენტრის გენერალური დირექტორი
ნათია მელქაძე



A ტიპის ინსპექტირების ორგანოს აკრედიტაციის სფერო

შპს „ექსპერტიზა, მშენებლობა, დიზაინი“–ს ინსპექტირების ორგანო

მისამართი: ქ. თბილისი. მოსაშვილის ქ.N9 ბინა 40;

	ინსპექტირების ობიექტი	ინსპექტირების ტიპი და ზღვარი	მეთოდები და პროცედურები
1	2	3	4
1	ობიექტის ხართაღრიცხვის ინსპექტირება	ინსპექტირების ამოცანიდან გამომდინარე: ობიექტის ხარჯთაღრიცხვის შესაბამისობის შეფასება დადგენილ მოთხოვნებთან,	1.სამშენებლო ნორმები და წესები (СНиП-ნაწილი IV); 2. ერთიანი ნორმები და ფასდებები–(ЕНиР); 3. სამშენებლო რესურსების ფასები (სრფ), გამომცემელი–მშენებლობის შემფასებელთა კავშირი (მშკ);
		საშუალო საბაზრო ფასებთან და საჭიროების შემთხვევაში პროექტთან.	4.ტექნიკური რეგლამენტი–სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმიური მოგების განსაზღვრის შესახებ (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის დადგენილება N 55); 5.ВниР "სამშენებლო სამუშაოების უწყებრივი ნორმები"; 6.ВЗЕР „სარემონტო-სამშენებლო სამუშაოების ზონალური ერთეული ნორმების კრებული"; 7.ССН «ისტორიული და კულტურის ძეგლების სარესტავრაციო აღდგენითი სამუშაოების ნორმები და წესები" 8.ECD-SURV-038-2020-ინსპექტირების პროცერდურები.
2	ობიექტზე შესრულებული სამუშაოების ინსპექტირება (მათ შორის ფორმა N 2–ის მიხედვით)	ინსპექტირების ამოცანიდან გამომდინარე: შესრულებული სამუშაოების შესაბამისობის შეფასება, საპროექტო–სახართაღრიცხვო დოკუმენტაციათან ან/და დადგენილ მოთხოვნებთან, შესყიდვების დოკუმენტებთან, მშენებლობის დროისათვის არსებულ საშუალო საბაზრო ფასებთან, ფარულ სამუშაოთა აქტებთან, ობიექტის ვიზუალური დათვალიერების	1.სამშენებლო ნორმები და წესები (СНиП-ნაწილი IV); 2. ერთიანი ნორმები და ფასდებები–(ЕНиР); 3. სამშენებლო რესურსების ფასები (სრფ), გამომცემელი–მშენებლობის შემფასებელთა კავშირი (მშკ); 4.ტექნიკური რეგლამენტი–სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმიური მოგების განსაზღვრის შესახებ (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის დადგენილება N 55);

		(ფოტოფი–ქსირების ჩათვლით), აზომვების შედეგებ–თან და შესაბამისობის შეფასების დოკუმენტებთან.	5.ВиР "სამშენებლო სამუშაოების უწყებრივი ნორმები"; 6.ВЗЕР „სარემონტო-სამშენებლო სამუშაოების ზონალური ერთეული ნორმების კრებული"; 7.ССН «ისტორიული და კულტურის ძეგლების სარესტავრაციო აღდგენითი სამუშაოების ნორმები და წესები" 8.ECD-SURV-039-2020-ინსპექტირების პროცერდურები.
3	ობიექტის (სამრეწველო და სამოქალაქო შენობა-ნაგებობების, საავტომობილო გზების, საინჟინრო ქსელების: ელექტროქსელების და სისტემების (1000 ვ-მდე და 1000 ვ-ს ზევით), სუსტი დენების, გათბობა-ვენტილაცია-გაგრილების ქსელების და სისტემების, წყალმომარაგება, კანალიზაცია, წყალარინების ქსელების და სისტემების.) სამშენებლო სამუშაოებზე ტექნიკური ზედამხედველობა–ინსპექტირება	ინსპექტირების ამოცანიდან გამომდინარე: ობიექტის სამშენებლო, სარემონტო, სამონტაჟო, სადემონტაჟო, სარეკონსტრუქციო, სარესტავრაციო სამუშაოების პროცესზე დასწრება/დაკვირვება და შესაბამისობის შეფასება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან ან/და დადგენილ მოთხოვნებთან.	1.სამშენებლო ნორმები და წესები (СНиП-ნაწილი 1); 2.სამშენებლო ნორმები და წესები (СНиП-ნაწილი 2); 3.სამშენებლო ნორმები და წესები (СНиП-ნაწილი 3); 4.საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტები (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის დადგენილება N 71); 5.Правила устройства электроустановок (ПУЭ)издание 6; 6.ტექნიკური რეგლამენტი–ელექტროსადგურებისა დფა ქსელების ტექნიკური ექსპლუატაციის წესების შესახებ(საქართველოს მთავრობის დადგენილება # 434, 2013 წლის 31 დეკემბერი); 7. ტექნიკური რეგლამენტი– ელექტროდანადგარების ექსპლუატაციისას უსაფრთხოების წესების შესახებ (საქართველოს მთავრობის დადგენილება # 340, 2013 წლის 17 დეკემბერი); 8.საქართველოს ეროვნული სტანდარტი სსტ 72:2009 „გზები საავტომობილო და საერთო სარგებლობის. გეომეტრიული და სტრუქტურული მოთხოვნები"; 9..საქართველოს მთავრობის დადგენილება N°732 ტექნიკური რეგლამენტის – „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების" დამტკიცების თაობაზე. 2020 წლის 4 დეკემბერი. 10.ტექნიკური რეგლამენტი– (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის დადგენილება N 41);

			11. ECD-SURV-35-2020-ინსპექტირების პროცედურები;
4	სამშენებლო ობიექტის პროექტის ან პროექტის ნაწილის -საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა/დასკვნა; -არქიტექტურული ნაწილი; -კონსტრუქციული ნაწილი;	ობიექტის საპროექტო დოკუმენტაციის, ობიექტის პროექტის ნაწილების შესაბამისობის დადგენა ტექნიკურ დავალებასთან ან/და დადგენილ მოთხოვნებთან.	1.სამშენებლო ნორმები და წესები (СНиП-ნაწილი 1); 2.სამშენებლო ნორმები და წესები (СНиП-ნაწილი 2); 3.სამშენებლო ნორმები და წესები (СНиП-ნაწილი 3); 4.საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტები (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის დადგენილება N 71);
	(სამრეწველო და სამოქალაქო შენობა-ნაგებობების, საავტომობილო გზების), საინჟინრო ქსელების: ელექტროქსელების და სისტემების (1000 ვ-მდე და 1000 ვ-ს ზევით), სუსტი დენების, გათბობა-ვენტილაცია-გაგრილების ქსელების და სისტემების, წყალმომარაგება, კანალიზაცია, წყალარინების ქსელების და სისტემების.) და მათი ტექნოლოგიური ნაწილების მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირება.		5.Правила устрой˜ства электроустановок (ПУЭ)издание 6; 6.ტექნიკური რეგლამენტი-ელექტროსადგურებისა დფა ქსელების ტექნიკური ექსპლუატაციის წესების შესახებ(საქართველოს მთავრობის დადგენილება # 434, 2013 წლის 31 დეკემბერი); 7. ტექნიკური რეგლამენტი- ელექტროდანადგარების ექსპლუატაციისას უსაფრთხოების წესების შესახებ (საქართველოს მთავრობის დადგენილება # 340, 2013 წლის 17 დეკემბერი); 8.საქართველოს ეროვნული სტანდარტი სსტ 72:2009 „გზები საავტომობილო და საერთო სარგებლობის. გეომეტრიული და სტრუქტურული მოთხოვნები“; 9. ECD-SURV-35-2020-ინსპექტირების პროცედურები; 10.. საქართველოს მთავრობის დადგენილება №732 ტექნიკური რეგლამენტის – „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების“ დამტკიცების თაობაზე. 2020 წლის 4 დეკემბერი. 11.ტექნიკური რეგლამენტი- (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის დადგენილება N 41);
5.	ობიექტის ხარჯთაღრიცხვის ფასწარმოქმნის ადეკვატურობის ინსპექტირება	ობიექტის ხარჯთაღრიცხვის შესაბამისობის შეფასება: -დადგენილ მოთხოვნებთან, საშუალო საბაზრო ფასებთან და საჭიროების	1.სამშენებლო ნორმები და წესები (СНиП-ნაწილი IV); 2. ერთიანი ნორმები და ფასდებები-(ЕНиР); 3. სამშენებლო რესურსების ფასები (სრფ), გამომცემელი-მშენებლობის შემფასებელთა კავშირი (მშკ);

		შემთხვევაში პროექტთან; –კონკრეტული მომწოდებლის რესურ–სებთან და შესაძლებლობებთან	4.ტექნიკური რეგლამენტი–სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმიური მოგების განსაზღვრის შესახებ (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის დადგენილება N 55); 5. საქართველოს მთავრობის დადგენილება #439 2017 წლის 26 სექტემბერი. ტექნიკური რეგლამენტი–„სამშენებლო სამუშაოების ხართაღრიცხვის ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დადგენის მეთოდიკა“
			6.ВниР "სამშენებლო სამუშაოების უწყებრივი ნორმები"; 7.ВЗЕР „სარემონტო-სამშენებლო სამუშაოების ზონალური ერთეული ნორმების კრებული“; 8.ССН «ისტორიული და კულტურის ძეგლების სარესტავრაციო აღდგენითი სამუშაოების ნორმები და წესები“ 9.ECD-SURV-35-2020-ინსპექტირების პროცერდურები.
6.	ობიექტის ან მისი ნაწილის ტექნიკური მდგომარეობის (სამრეწველო და სამოქალაქო შენობა-ნაგებობების, საავტომობილო გზების,), საინჟინრო ქსელების: • ელექტროქსელების და სისტემების (1000ვ-მდე და 1000ვ-ს ზევით), • სუსტი დენების; • გათბობა-ვენტილაცია-გაგრილების ქსელების და სისტემების;	ინსპექტირების ამოცანიდან გამომდინარე: არსებული ობიექტის მდგომარეობის შესაბამისობის შეფასება საპროექტო დოკუმენტაციასთან ან/და დადგენილ მოთხოვნებთან, ფარულ სამუშაოთა აქტებთან, ობიექტის ვიზუალური დათვალიერების (ფოტოფიქსირების ჩათვლით), აზომვებისა და გაზომვების შედეგებთან და შესაბამისობის შეფასების დოკუმენტებთან, მათ შორის ლაბორატორიული, ურღვევი კონტროლის მეთოდებით, გეოლოგიური და გეოფიზიკური კვლევების შედეგებთან.	1. სამშენებლო ნორმები და წესები -(СниП -ნაწილი 2; 2. სამშენებლო ნორმები და წესები -(СниП -ნაწილი 3); 3. საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტები (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის დადგენილება #71); 4. საქართველოს ეროვნული სტანდარტი SST(სსტ) 72:2009 „გზები სავტომობილო საერთო სარგებლობის-გეომეტრიული და სტრუქტურული მოთხოვნები“ 5. საქართველოს მთავრობის დადგენილება №732 ტექნიკური რეგლამენტის – „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების“ დამტკიცების თაობაზე. 2020 წლის 4 დეკემბერი 6. ტექნიკური რეგლამენტი (საქართველოს მთავრობის 2016 წ. 28 იანვრის დადგენილება №41); 7..Правила устройства электроустановок (ПУЭ)издание